მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია

და პერსონალთან თანაფარდობის წესი

განხილულია აკადემიური საბჭოს საბჭოს მიერ ოქმი #3, 16/03/19 წ.
დამტკიცებულია რექტორის 18/03/2-19 წ. #1 ბ/1-01/09 ბრძანებით

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გამოთვლისა და პერსონალთან თანაფადობის წესს, რომლის მიზანია სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კონტინგენტის ფარგლებში შესაბამის პროგრამებზე სტუდენტთა ადექვატური გადანაწილება, ეფექტიანი სასწავლო და კვლევითი პროცესის განსახორციელებლად.

1.2. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ინდიკატორებსა და შესაბამის რესურსებს.

1.3. სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია შემდეგი ინდიკატორები:

ა) ადამიანური რესურსი (აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი);

ბ) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

გ) უცხოელ და ადგილობრივ პარტნიორების თანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტისთვის ხელმისაწვდომი ადამიანური თუ მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;

დ) ბაზრის კვლევის მონაცემები პროგრამების მოთხოვნადობასთან დაკავშირებით, რომლის ნაწილია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;

ე) ჩარიცხვების/გადინების (მობილობის ჩათვლით) დინამიკა;

ვ) სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა ოდენობა.

1.4. უნივერსიტეტის სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ინდიკატორების შეფასება სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით;

1.5. უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობა გამოითვლება საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ ან/და ჩარიცხულ პირთათვის.

მუხლი 2. სტუდენტთა კვოტის განსაზღვრაში ჩართული პირები

2.1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვაში მონაწილეობს:

ა) რექტორი;

ბ) ხარისხის მართვის სამსახური;

გ) კანცლერი;

დ) სკოლის დეკანი;

ე) პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები.

2.2. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმარება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის დონეზე ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებელობების გათვალისწინებით; შედეგთა ერთობლიობა, როგორც საერთო კონტიგენტი, განიხილება აკადემიურ საბჭოზე და მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

2.3. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკას და სათანადო რესურსების არსებობას. სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრისთვის დადგენილი ინდიკატორები, პროგრამების მიხედვით, შეიძლება იყოს წინამდებარე დოკუმენტისაგან განსხვავებული და მეტად დეტალიზებული.

მუხლი 3. მატერიალური-ტექნიკურირესურსების ინდიკატორები

3.1. სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ინდიკატორებია:

ა) ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე;

ბ) დამხმარე ფართი (ფოიე, სარეკრეაციო სივრცე და სხვ.);

გ) აუდიტორიები/კომპიუტერული კლასი/ლაბორატორიები(არსებობის შემთხვევაში)

დ) ბიბლიოთეკა.

მუხლი 4. აკადემიური პერსონალი

4.1. აკადემიური პერსონალის ოდენობა

სტუდენტთა საერთო მაქსიმალური კვოტის განსაზღვრაში განსაკუთრებული ინდიკატორია აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რაც დამოკიდებულია ცალკეული პროგრამის სპეციფიკაზე;

4.1.1. აკადემიური პეროსონალის ოდენობის განსაზღვრისას ორიენტირი უპირატესად კეთდება აფილირებულ პერსონალზე, პერსპექტივაში მათი ოდენობის ზრდის უზრუნველსაყოფად.

4.1.2. ერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში სავალდებულოა მონაწილეობდეს დარგის მინიმუმ ერთი აფილირებული აკადემიური პერსონალი (პროფესორი/ ასოცირებული პროფესორი).

4.1.3. საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთა მაქსიმალურ კვოტასთან უნდა იყოს არანაკლებ ერთი პროფესორი/ასოც.პროფესორი 45 სტუდენტზე.

4.1.4. აკადემიური (აფილირებულის ჩათვლით) პერსონალის სალექციო დატვირთვის მაქსიმალური კვირეული ზღვარი კორექტირდება სასწავლო უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ პოზიციაზე მათი დატვირთვისა და კვლევით საქმიანობაში ჩართვის მაჩვენებლებით.

4.2. მოწვეული პერსონალი

სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვისას ასევე გაითვალისწინება მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამის ფარგლებში თითოეული სასწავლო წლისათვის საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის გათვალისწინებით.

მუხლი 5. აკადემიური და მოწვეული პერსონალის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულები

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას გამოიყენება შემდეგი ინდიკატორები:

5.1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მთლიან რაოდენობასთან;

5.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა დაწესებულების პერსონალის მთლიან რაოდენობასთან;
5.3. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან;
5.4. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან;
5.5. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან;
5.6. აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან;
5.7. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით;
5.8. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით;
5.9. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი.

მუხლი 6.ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი

6.1. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვაში მნიშვნელოვანი ინდიკატორია უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა. მათი რაოდენობა კორექტირდება მუდმივად და აისახება საშტატო ნუსხაში. დამხმარე პერსონალის ოდენობის კორექტირება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის მუშაობით გამოვლენილი შედეგების საფუძველზე.
6.2. 80 სტუდენტზე გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული მინიმუმ 1 ადმინისტრაციული პერსონალი.

მუხლი 7. სტუდენტთა კონტიგენტის გამოთვლის პრინციპი

7.1. სტუდენტთა საერთო რაოდენობის გამოთვლის ფორმულა შედგება შემდეგი ცვლადებისაგან

აუდიტორიაში ფიზიკურად განთავსებადი სტუდენტების რაოდენობა (Pph) - ცნებაში „ფიზიკურად განთავსებადი“ იგულისხმება ერთ სტუდენტზე მინიმუმ 2 კვ.მ. აუდიტორიის საერთო ფართობიდან.

აუდიტორიათა საერთო რაოდენობა (As) - შენობაში არსებული სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებადი სათავსოთა ჯამი

ადგილების საშუალო რაოდენობა აუდიტორიაში[1] (P) - Pph გაყოფილი As

სულ ადგილების მაქსიმალური საშუალო რაოდენობა (Pta) - არის As-ის ნამრავლი Ps-ზე

კვირაში საათების (მაქს.) რაოდენობა ერთი ჯგუფისათვის (Hmpg) - იანგარიშება სასწავლო პროგრამის სპეციფიკის მიხედვით და უდრის ერთი ჯგუფის მიერ

[1]აუდიტორიაში მოიზრება ასევე კომპიუტერული კლასი და ლაბორატორია.

აღებული სასწავლო კომპონენტების რაოდენობა გამრავლებული საშუალოდ, კვირაში ერთი კომპანენტის საკონტაქტო საათების რაოდენობაზე[2]

კვირაში საათების რაოდენობა ერთ აუდიტორიაზე (Ha) - არის საათების ის მაქსიმალური რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც შესაძლოა ერთი აუდიტორიის გამოყენება კვირის განმავლობაში[3]

კვირაში საათების მაქსიმალური შესაძლო რაოდენობა (Hm) - იანგარიშება As ნამრავლით Ha-ზე

ჯგუფების მაქსიმალური შესაძლო რაოდენობა (Gt) - არის Hm ჯერადი Hmpg-სთან

სტუდენტების მაქსიმალური შესაძლო რაოდენობა (Qm) - არის Gt-ის ნამრავლი P-თან. ეს მონაცემი არის სტუდენტების ის მაქსიმალური რიცხვი, რომელსაც შესაძლოა მოემსახუროს სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

7.2. სტუდენტთა ადგილების საბოლოო მაჩვენებლის გასაანგარიშებლად გაითვალისწინება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რესურსი წინამდებარე წესში მოცემულ დებულებებზე დაყრდნობით.

მუხლი 8. ცვლილებები და დამატებები

მეთოდოლოგიაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით, ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგენის საფუძველზე.

[2]მაგალითად, ერთ სემესტრში ჯგუფის საშუალო საკონტაქტო საათების ოდენობა არის 3 სთ, ხოლო აღებული სასწავლო კომპონენტების რაოდენობა 6, მაშინ კვირაში საათების რაოდენობაა 6x3=18.

[3]თუკი სასწავლო პროცესი შედგება კვირაში 6 დღისგან და სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დღეში 10:00 სთ-დან 22:00 სთ-მდე, ერთი აუდიტორიის დატვირთვა კვირაში იქნება 9სთx6=54 სთ.